ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6533774

ნომერი: AR1968860

თარიღი : 29.05.2023

გაცემის თარიღი : 28.06.2023

გაცნობის თარიღი : 28.06.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 29 მაისის №AR1968860 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის №6342051 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 5 ივნისის №6492313 ბრძანებითა და 2023

წლის 12 ივნისის №6504506, 2023 წლის 20 ივნისის №6519119 გადაწყვეტილებებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სრულად, კერძოდ ვინაიდან არ გსურთ, ღია ავტოსადგომების ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირება, საჭიროა -3.00 და ±0.00 ნიშნულების გეგმებზე დატანილი ღია ავტოსადგომების ფართობები და ზომები მოყვანილ იქნეს შეთანხმებულთან შესაბამისობაში (საჭიროა ყველა ღია ავტოსადგომი შეთანხმებულის იდენტურად იქნეს დატანილი წარმოსადგენ გეგმებზე). ამჯერად წარმოდგენილ -3.00 და ±0.00 ნიშნულების გეგმებზე, დამატებულია ზოგიერთი ღია ავტოსადგომის ზომები, ხოლო, ზოგიერთზე წაშლილია ფართობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის №6342051 ბრძანებით შეთანხმებული -6.00, -3.00 და ±0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმების იდენტური ამავე ნიშნულების არქიტექტურული გეგმები, გეგმარების ცვლილების გარეშე.

ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 20 ივნისის №6519119 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 20 ივნისს, ხოლო, სამსახურს განმეორებით მომართეთ 2023 წლის 27 ივნისს, ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღე.

სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 16 (თექვსმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2023 წლის 29 მაისის №AR1968860 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.